

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„12“ 04 2016წ.

ქ. თბილისი № 208

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2015 წლის 27 მარტის № 94 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-14²⁰ მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს 12.04.2016 წლის N04/1401 თანხმობის წერილის შესაბამისად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2015 წლის 27 მარტის N94 ბრძანებით დამტკიცებული „სისტემათაშორისო ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის და შიდა შემზღუდავი რესურსების განაწილება/გადანაწილების სპეციალური აუქციონის წესებში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები.

1. მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ“ აუქციონი – გულისხმობს აუქციონს, რომელიც ტარდება აუქციონის სპეციალური რეგულაციის პლატფორმის გამოყენებით POA-ს შესაბამისი კომპონენტის გასანაწილებლად;

„დ“ ა). საანგარიშო პერიოდზე - შესაბამისი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან ბოლო დღის ჩათვლით პერიოდისთვის (ან საანგარიშო პერიოდის შიგნით ცალკეული დღეებისთვის რამდენიმე მომდევნო (მიუხედავად თანმიმდევრობისა) საანგარიშო პერიოდისთვის;

„დ“ ბ). საანგარიშო პერიოდის ნაწილზე - მოცემული საანგარიშო პერიოდის შიგნით ცალკეული დღეებისთვის ან/და მათთან ერთად რამდენიმე მომდევნო (მიუხედავად თანმიმდევრობისა) საანგარიშო პერიოდისთვის ან მისი ნაწილისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“

2. მე-11 მუხლის:

ა). მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ“ წერილობითი მოთხოვნა წარმოდგენილია დაგეგმილი ექსპორტის (მხოლოდ ბაზრის წესების 14¹² მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის „ბ“ კატეგორიის მიკუთვნებული ელექტროენერჯის შემთხვევაში), ტრანზიტის ან/და რეექსპორტის დაწყებამ არანაკლებ 7 (შვიდი)სამუშაო დღით ადრე“

ბ). მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„პრეტენდენტის მოთხოვნით გათვალისწინებული გადადინების განხორციელების პირობებზე ვადები არ ეწინააღმდეგება ერთის მხრივ საქართველოს მთავრობას ან/და დისპეტჩერიზა, ლიცენზიატს შორის და მეორეს მხრივ იმ მეზობელი ქვეყნების შესაბამის სტრუქტურულ გაფორმებული ხელშეკრულების, მემორანდუმების ან/და შეხვედრის ოქმების პირობებს ინფორმირებისა და გეგმების შეთანხმების ვადებს) რომელთა საზღვრების გადაკვეთით გათვალისწინებს დაგეგმილი ელექტროენერჯის გადადინება.“;

გ). მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3“. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი პრეტენდენტის წერილობითი მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღეში, არეგისტრირებს პრეტენდენტს აუქციონის ვებ პლატფორმაზე (თუ პრეტენდენტი უკვე დარეგისტრირებული) და აცხადებს:

ა). აუქციონს საექსპორტოდ ნებადართულ მოცულობაზე (ექსპორტის შემთხვევაში) ან სატრანზიტოდ ნებადართულ გამტარუნარიანობაზე (ტრანზიტის/რეექსპორტის შემთხვევაში) რომელიც უნდა დასრულდეს გამოცხადებიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში;

ბ). ან/და აუქციონს სისტემათაშორის გადადინებისათვის განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცხაზის ხელმისაწვდომი მოცულობის განაწილებაზე, რომელიც უნდა დასრულდეს გამოცხადებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

გ). ან დადგენილი წესით უარს ეუბნება პრეტენდენტს მის გამოცხადებაზე.“

მუხლი 2.

1. დაევალოს ოპერატიული დაგეგმვისა და ხელშეკრულებების რეგისტრაციის სამსახურს ბრძანებ ძალაში შესვლიდან ერთი დღის ვადაში უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება საზოგადოებრივ ვებ-გვერდზე www.gse.com.ge და აუქციონის ვებ-გვერდზე www.gcat.com.ge

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მმართველთა საბჭოს წევრს უჩა უჩანეიშვილს.


მუხლი 3.

ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რეაბილიტაციის მმართველის/

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი



გიორგი შარკოვი